საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეPARTამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

საქართველოს პარლამენტი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

8 Rustaveli Avenue, 0118, Tbilisi, Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 257
„25“ „05“ 2026 წ.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№324/2-XIმპ, 20.05.2026) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 97-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 97-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი (№324/2-XIმპ, 20.05.2026) და აღნიშნავს შემდეგს:

კანონპროექტის პირველი მუხლის 21-ე პუნქტით წარმოდგენილი კანონის 24^3 მუხლი, ასევე კანონპროექტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რომლებითაც 2027 წლის 1 იანვრამდე დგინდება ძირითადისაგან განსხვავებული ნორმები და კანონის ასამოქმედებლად საჭირო გარკვეული პირობები. ამასთანავე, კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის ცალკეული ნორმების ამოქმედებას 2027 წლის 1 იანვრიდან. მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი 2027 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ცხადდება. შესაბამისად, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში სათანადო ცვლილების განხორციელებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღის ცვლილების გარეშე წარმოდგენილი კანონპროექტის ცალკეული ნორმები 2027 წლის 1 იანვრიდან ვერ ამოქმედდება. ამასთანავე, დამატებით მსჯელობას საჭიროებს

კანონპროექტით წარმოდგენილი გარდამავალი დებულებების 2027 წლის 1 იანვრამდე დადგენის სამართლებრივი მიზანშეწონილობის საკითხი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს პროექტი იმ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელში ცვლილების შეტანასაც იწვევს კანონპროექტი, და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. შესაბამისად, ინიციირებულ კანონპროექტს თან უნდა დაერთოს „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი და ისინი წარმოდგენილი უნდა იყოს საკანონმდებლო პაკეტის სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს პარლამენტის ბიუროს, იმსჯელოს ზემოხსენებული კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების მიზანშეწონილობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი